ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N8

სხდომის ჩატარების დრო:
16 ივნისი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

სულ: 11 წევრი.

არ ესწრებოდნენ: თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, დავით ბახტაძე, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **კარლო კუხიანიძე,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. „ქალაქ ქუთაისის N22-ე საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ.“

3. „ქალაქ ქუთაისში მდებარე კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.“

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, დავით ბახტაძე, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **კარლო კუხიანიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **კ.კუხიანიძემ** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, რომ ცვლილება შედის მოსაწონებელი წინადადებების ნუსხაში, დაემატა ორი ახალი ობიექტი და ნუმერაცია გაიზარდა 19-მდე, მოგახსენებთ თითოეულის შესახებ, პირველი-ეს არის ქალაქ ქუთაისში გაფრინდაშვილის ქუჩის N10-სა და გაფრინდაშვილის მე-4 ჩიხის N3-ს შორის ჩამოშლილი ფერდის გამაგრება, ამ ადგილას წარმოიშვა მეწყრული ზონა და ჩამოინგრა არსებული საყრდენი კედელი, ეს საფრთხეს უქმნის მთლიანად ფერდზე მაცხოვრებლებს და სასწრაფო ზომებია მისაღები, რომ არ დადგეს სავალალო შედეგი."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „დაახლოებით რამდენ მეტრზე გადის?„

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **კარლო კუხიანიძე:** „კედლის სიგანე იქნება 30 მეტრი და სიმაღლე-6 მეტრი და 80 სანტიმეტრი, ამ კედლის აშენება არა მხოლოდ იქ მაცხოვრებელი ორი ოჯახისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ მდგომარეობა მთელი ფერდის პრობლემას წარმოადგენს და სწორედ ამიტომ სასწრაფოდ იქნა შეძენილი პროექტი, რომ წვიმების სეზონამდე მოგვარებულ იქნას ეს მეტად საყურადღებო პრობლემა, 340 ათასი ლარი იქნება გამოყოფილი აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის."

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „ამ ქუჩაზე არის მოსახლეობა და მათ თავზე გორის პარკამდე არის მიწა, რომლის გასხვისებასაც აპირებდა მერია, ხართ თუ არა საქმის კურსში ამ თემასთან დაკავშირებით და რამდენად მიზანშეწონილია გასხვისება, როდესაც მიწა მცოცავია და საყრდენ კედელზეა საუბარი და აქვე შევეხები ალკორიუმის შენობას, რომელიც აშენდა ქვედა მხარეს, როგორც ვიცი, მათ ამ კედელთან დაკავშირებით კონკრეტული ვალდებულებები გააჩნდათ, რა ხდება ამ თემასთან დაკავშირებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **კარლო კუხიანიძე:** „ალკორიულის შენობის მაღლა მდებარე კედლის შემდეგ არის მიწის მონაკვეთი, რომლის შემდეგაც არის გაფრინდაშვილის ქუჩა და კიდევ ამ ქუჩის მაღლა არსებულ მიწის მონაკვეთზეა საუბარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში."

კომისიის წევრი ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „კიკვიძის ბაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას, მისი რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 2 მილიონნახევარი ლარი, გავედით, ადგილზე დავათვალიერეთ და ვფიქრობ, რომ ისედაც გაკეთებული სკვერის თავიდან გაკეთება აუცილებლობას არ წარმოადგენს, როცა ამდენი სკვერია ირგვლივ გასაკეთებელი. მოსაწესრიგებელი ნიუანსები მოვაწესრიგოთ და დანარჩენი თანხა სხვა ღორისძიებისთვის მოვიხმაროთ გონივრულად."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **კარლო კუხიანიძე:** „ხომ შეიძლება, რომ ერთხელ თავიდან ბოლომდე სრულყოფილი ობიექტი მივიღოთ, ნაწილ-ნაწილ გაკეთებული საბოლოოდ შედეგს ვერ გვაძლევს და მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ ძირეულად შესაკეთებელია აღნიშნული პარკი, შადრევნის მატორები დამწვარია, არ მიეწოდება დენი და გამოსაცვლელია მიწისქვეშა დენის ცენტრალური მიმღები, ასევე მთლიანად იცვლება შადრევანი, იცვლება შიდა სტრუქტურა, მოეწყობა ახალი ატრაქციონები."

კომისიის წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე**: „ვფიქრობ რომ 2 მილიონნახევარი საერთო ჯამში მაინც ბევრია, თუ არის შესაძლებელი წარმოადგინეთ პროექტი და ერთს დავამატებდი, რომ რეაბილიტაციის პერიოდში მოხდეს იქ არსებული ძეგლის აღება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **კარლო კუხიანიძე:** „რაც შეეხება მეორე ობიექტს, ქალაქ ქუთაისში ვანო სარაჯიშვილისა და დავით ავალიანის ქუჩების საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, აღნიშნული ორივე ქუჩა უერთდება ჩეჩელაშვილის ქუჩას. ზემოაღნიშნულ სამ ქუჩას არ აქვთ სანიაღვრე და წვიმის დროს სულ იტბორება მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდება სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია პირველ რიგში ჩეჩელაშვილზე, დანარჩენი ორი ქუჩის რეაბილიტაციას მერწმუნეთ აზრი არ აქვს, მოგახსენებთ, რომ ჩეჩელაშვილის ქუჩა რეაბილიტირებულ იქნება კაპიტალურად, სანიაღვრე სისტემიდან დაწყებული, ბორდიულებით დამთავრებული."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, დავით ბახტაძე, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 6 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: ბესიკ ბრეგაძემ, გრიგოლ შუშანიამ, ლაშა შალამბერიძემ, გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის N22-ე საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ."**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

კომისიის წევრმა, ბატონმა **ბესიკ ბრეგაძემ** აქვე გააკეთა განმარტება: „ბატონი ნესტორის დაარსებული და აშენებულია ეს სკოლა, ამჟამად მისი ოჯახი, რომელიც სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა, გადასულია თბილისში და მისი შვილიშვილი უდგას სათავეში სახელდების საქმეს, რომელიც ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, თუმცა სკოლა, რეალურად მართლაც იმსახურებს ამ სახელს. ახლახანს გაუკეთდა სკოლას რეაბილიტაცია უმაღლეს დონეზე."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, დავით ბახტაძე, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის N22-ე საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ."

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში მდებარე კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, დავით ბახტაძე, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში მდებარე კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით.

დღის წესრიგით გათვალისიწნებული საკითხების დასრულების შემდეგ სიტყვა ითხოვა კომისიის წევრმა, ბატონმა **გრიგოლ შუშანიამ:** „ადრეც არაერთხელ შევეხე ამ თემას და დღეს კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ ჩემს აზრს, ვიცით, რომ თამარ მეფის ქუჩის ერთ-ერთ მონაკვეთს ერქვა კოტე ბარქაიას სახელი, შემდგომ ამ ქუჩას დაუბრუნდა ძველი სახელი, ვფიქრობ, არ იქნება ურიგო ქალაქის მასშტაბით არსებულ ერთ-ერთ უსახელო ქუჩას ეწოდოს ამ ადამიანის სახელი, რომელსაც მთელი ქალაქი სცემდა პატივს.“

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „რა თქმა უნდა ვეთანხმები ინიციატივას, არ დავტოვოთ ეს თემა უყურადღებოდ, ეს ადამიანი იყო ძალიან საინტერესო პიროვნება,

დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, გულისხმიერი, კეთილი ადამიანი და ვფიქრობ აუცილებლად უნდა ერქვას ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი.“

გამოთქმულმა მოსაზრებამ კომისიის წევრთა საერთო მოწონება დაიმსახურა და დაიგეგმა სამომავლოდ შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა,** კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და

საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

ამირან კოპალეიშვილი